

ნიკოლაძე
ქიქშიძე

ბიბლიოგრაფია



Николай Андреевич

КИПСИДЗЕ

Библиография

*

Nikoloz KIPSHIDZE

Biobibliography

„მეცნიერება“

2006



ნიკოლოზ
ყიფშიძე

(1888-1954)

ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა „მეტწიერება“

თბილისი

2006

**Н и к о л а й
А н д р е е в и ч
К И П Ш И Д З Е**

(1888 – 1954)

Б и о б и б л и о г р а ф и я

**N i k o l o z
K I P S H I D Z E**

(1888 – 1954)

B i o b i b l i o g r a p h y

“Мецнисреба” Тбилиси

“Metsniereba” Tbilisi

2006

გამოჩენილი ქართველი ექიმის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნყოფშიძის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1924-2006 წლების მასალას: სამეცნიერო შრომებს, უცხოური სპეციალური ლიტერატურის რეფერატებს, მისი რედაქციით გამოცემულ შრომებს და ლიტერატურას მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანურ რიგით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ნყოფშიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე შიშობილება, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ცალკეა გამოყოფილი საიუბილეო თარიღები. ერთეის ძირითად შრომათა ანბანური და სახელთა საძიებლები.

Библиография выдающегося грузинского врача, академика Академии наук Грузии Н.А.Кипшидзе охватывает материал 1924-2006 гг.: научные труды, рефераты специальной иностранной литературы, труды, изданные под редакцией ученого и литературу о нем.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. Библиография предпослан краткий обзор научной и общественной деятельности и основные даты жизни и деятельности Н.А.Кипшидзе. Отдельно выделены юбилейные даты. Прилагается алфавитный указатель основных трудов и указатель имен.

Biobibliography of the famous georgian physician, academician of the Georgian Academy of Sciences N.Kipshidze involves the materials of 1924-2006 years: the scientific works, abstracts of special foreign literature, works edited by N.Kipshidze and literature about him.

The material is arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities and dates of his life and activity. Jubilee dates are separately given. Alphabetic index of principal works and name index are applied.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: ჯ.აფაქიძე (მთ.რედ.), ჯ.ლომინაძე, ე.გამყრელიძე, მ.საღუჭაძე, გ.გველესიანი, მ.ზაალიშვილი, თ.ონიანი, ო.ნათიშვილი, გ.თევზაძე, რ.მეტრეველი, გ.ციციშვილი, ნ.ფირცხალავა (მდივანი), დ.კოლოტაური.

შემდგენლები: მ.ბარკაია, ც.კვაჭაძე

რედაქტორი ი.კაპანაძე

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: ი.დუდუჩავა

Главная редакционная коллегия библиографической серии: †А.М.Апакидзе (гл. ред.), Дж.Г.Ломинадзе, И.П.Гамкрелидзе, М.Е.Салуквадзе, Г.Г.Гвелесниани, М.М.Звалиншвили, Т.Н.Онниани, О.Г.Натишвили, Г.В.Тевзадзе, Р.В.Метревели, Г.Ш.Цицишвили, Н.Д.Пирцхалава (секретарь), Д.Л.Колотаури.

Составители: М.И.Баркава, Ц.А.Квацадзе

Редактор И.Д.Каланадзе

Библиографический редактор И.М.Дудучава

ნიკოლოზ ყიფშიძე

(ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლოზ ანდრეას ძე ყიფშიძე დაიბადა ქ. გორში 1888 წლის 18 დეკემბერს (ახალი სტილით), ფოსტის მოხელის ანდრია ყიფშიძის ოჯახში. დედა – ანა დავითაშვილი დიასახლისი იყო. პირველდაწყებითი განათლება ნიკოლოზ ყიფშიძემ გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. მესამე კლასიდან სწავლა გააგრძელა თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში, რომელიც 1908 წელს ოქროს მედლით დაამთავრა.

1908 წელს ნიკოლოზ ყიფშიძე კონკურსით პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში ჩაირიცხა, რომელიც 1914 წელს წარჩინებით, ოქროს მედლით დაამთავრა. აკადემიაში სწავლის პერიოდში ნიკოლოზ ყიფშიძე არა მარტო მოწინავე სტუდენტ იყო, არამედ, ამავე დროს, თავისი პროგრესული შეხედულებებითა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით გამოირჩეოდა, რის გამოც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აკადემიის სტუდენტებს შორის. სწავლის პერიოდში ნიკოლოზ ყიფშიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებთან. გარდა იმისა, რომ ის კურსის მამასახლისად აირჩიეს, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარეც იყო. სტუდენტი ნიკოლოზ ყიფშიძე აკადემიის სტუდენტების მიერ წარგზავნილი იყო იასნაია პოლიანაში დიდი რუსი მწერლის ლევ

ტოლსტოის დაკრძალვაზე სამგლოვიარო სიტყვის წარმოსათქმელად, ხოლო დიდი რუსი თურაპევეტის - ი. პავლოვის იუბილეზე, მასვე მიანდეს მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმა, რაც პავლოვმა, რამდენიმე წლის შემდეგ, პარიზში ყიფშიძესთან შეხვედრის დროს სიამოვნებით გაიხსენა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1914 წელს, სამხედრო-საექიმო აკადემიის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ყიფშიძე მეფის არმიის ერთ-ერთი ლეგიონის ექიმად დაინიშნა და სპარსეთში გაიგზავნა, სადაც მან ორი წელი იმსახურა. ამის შემდეგ ის ქვლადიკავკაზში სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ხოლო იქიდან კი - თბილისის ჰოსპიტალში, სადაც 1918 წლამდე მუშაობდა.

1918 წელს თბილისში დაბრუნებულმა ნიკოლოზ ყიფშიძემ თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კერძო პათოლოგიისა და თურაპიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა ლაბორანტად.

1921-1930 წლებში ნიკოლოზ ყიფშიძე ჰოსპიტალური თურაპიის კლინიკის უფროს ასისტენტად მუშაობდა. იმ პერიოდში ჰოსპიტალური თურაპიის კათედრას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე განაგებდა. ყიფშიძის პროფესიულ სრულყოფაში დიდი როლი სწორედ მის მასწავლებელს სპირიდონ ვირსალაძეს ეკუთვნის. ჰოსპიტალური თურაპიის კათედრაზე პროფესორ სპირიდონ ვირსალაძის ხელმძღვანელობით ნიკოლოზ ყიფშიძე კარგ კლინიცისტ-თურაპევეტად და მეცნიერად ჩამოყალიბდა.

ჰოსპიტალური თურაპიის კათედრაზე მოღვაწეობის პერიოდიდან დაიწყო ნიკოლოზ ყიფშიძის საექიმო, პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი

მოღვაწეობა. იგი აქტიურად ჩაერთო საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების წარმართვაში, სამედიცინო კადრების აღზრდის, სამედიცინო დარგის სრულყოფისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

1931 წელს ნიკოლოზ ყიფშიძეს დოცენტის წოდება მიენიჭა და ის სტომატოლოგიური ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ აირჩიეს.

1933 წელს დაარსდა პედიატრიული, სანიტარულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა საფაკულტეტო თერაპიის კათედრა, რომლის გამგედ 1933-1950 წლებში ნიკოლოზ ყიფშიძე დაინიშნა. აქედან იწყება მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდი. არსებითად, მას დაეკისრა ახალი კათედრის და კლინიკის ორგანიზაცია. ახლად დაარსებული კათედრა საჭიროებდა კლინიკური ბაზის შექმნას, მის აღჭურვას ლაბორატორიებით, დამხმარე კაბინეტებითა და საჭირო ლიტერატურით. ნიკოლოზ ყიფშიძემ მოკლე დროის განმავლობაში შემოიკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი და მათი აქტიური დახმარებით შექმნა კლინიკა, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელ სამედიცინო მოთხოვნებს. კათედრის პირველ თანამშრომელთა შორის იყვნენ ასისტენტები: კონსტანტინე ვირსალაძე, გიორგი რუსიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ლევან ანჯაფარიძე, მოგვიანებით გიორგი მხეიძე, ასევე, ორი თუ სამი კლინიკური ორდინატორი.

1933 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან ორგანიზებული იყო ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ხოლო 1935 წელს ეს კურსები ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ თბილისის ინსტიტუტად გარდაიქმნა. ამავე წელს

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ თბილისის ინსტიტუტში თერაპიის მეორე კათედრა დაარსდა, რომლის გამგე 1949-1954 წლებში ნიკოლოზ ყიფშიძე იყო.

ნიკოლოზ ყიფშიძის აქტიური მეცნიერული მოღვაწეობა მედიცინის სხვადასხვა სფეროს მოიცავდა. ყიფშიძის მეცნიერული კვლევები თავდაპირველად ჰელმინთოზურ და პროტოზოულ დაავადებებს მიეძღვნა. სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრი, პროფესორი მ.მარუაშვილი წერდა: “ნიკოლოზ ყიფშიძე – ფართო დიაპაზონის თერაპევტი – ძლიერ დაინტერესებული იყო სამედიცინო პარაზიტოლოგიითა და ტროპიკული სნეულებებით, როგორც სამხარეო სპეციფიკური საკითხებით. ამას მოწმობს მის მიერ გამოქვეყნებული 10 ნაშრომი ქართულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მან თავისი სახელი უკვდავყო მარტო იმითაც, რომ საქართველოში პირველმა აღმოაჩინა და აღწერა ორი საკმარისად გაურცვლებული დაავადება: ერთი, ჰელმინთოზი – სტრონგილოიდოზი და მეორე, პროტოზოოზი – ბალანტიდიოზი. მანვე პირველად შეისწავლა ნაწლავის პროტოზოოზის კულტურის მიღებისა და ლაბორატორიის პირობებში მათი შენახვის წესები. რ.დუშინთან ერთად შეიმუშავა ორიგინალური ნიადაგი მათი ზრდა-გამრავლებისათვის. ამ გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი ამებიოზის, ბალანტიდიოზის, ტრიქომონიაზის მორფოლოგიურ კვლევებს, მათი პათოგენეზის საკითხების გარკვევას, ამ დაავადებების დიაგნოზის პრობლემების გადაჭრას, კლინიკური სიმპტომატიკის ჩამოყალიბებას, მკურნალობის ეფექტური მეთოდების დადგენას და ექსპერიმენტული კვლევების სრულყოფას”. 1937 წელს ამ მნიშვნელოვან საკითხებს ნიკოლოზ ყიფშიძემ სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა,

რომელიც შემდგომში მისი სადოქტორო დისერტაციის თემად იქცა: “მასალები ზოგიერთ პროტოზოათა კულტურის შესასწავლად”.

ნაწლავთა პათოგენური პროტოზოების კვლევების ძირითადი დებულებები აისახა ნიკოლოზ ყიფშიძის მიერ ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე გამოქვეყნებულ შრომებში, რომელთა ძირითადი თეზისები მის მიერვე იყო მოხსენებული საქართველოს ექიმთა საზოგადოებასა და საქართველოს ექიმთა კონგრესზე (1924 წლის მაისი).

ნიკოლოზ ყიფშიძის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში კოკციდიების პირველი აღწერა: “*Taenia flavipunctata, Strongyloides stereoralis et intestinalis*”, მაიმუნებიდან ტრიქომონების განსაკუთრებული სახის “*Trichomonas elongata*” გამოყოფა და მათი სუფთა კულტურის მიღება. ნიკოლოზ ყიფშიძე საფუძვლიანად სწავლობდა ლამბლიოზსაც. (ნ.ყიფშიძე – უმარტივესი ცხოველები ადამიანის ნაწლავებში – ლამბლიოზი. მოხსენდა სრულიად საქართველოს ექიმთა კონგრესზე 1924 წლის მაისში). საყურადღებოა, ასევე, მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევები ლამბლიებით ინფიცირებულ თაგვებზე და დაკვირვებები ნადვლის ბუშტში ლამბლიების არსებობაზე.

1929-1930 წწ. ნიკოლოზ ყიფშიძე მეცნიერული მუშაობის გასაგრძელებლად ლუი პასტერის ინსტიტუტშია მივლინებული (პარიზი). სწორედ აქ, ფ.მენილის და რ.დუშიენის ხელმძღვანელობით, მან გააგრძელა პროტოზოათა კულტურების კვლევა. კვლევის შედეგები ფრანგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა და, საბოლოოდ, მონოგრაფიით დაგვირგვინდა: “მასალები ზოგიერთ პროტოზოათა კულტურის შესასწავლად”.

ნაწლავეების უმარტივესთა მეცნიერული კვლევების პარალელურად, ნიკოლოზ ყიფშიძე დაინტერესებული იყო და სწავლობდა ღვიძლის ტროპიკული აბსცესის დიაგნოზისა და მკურნალობის პრობლემებს. პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა ნიკოლოზ ყიფშიძის შრომებმა ღვიძლის ტროპიკული აბსცესის კლინიკისა და მკურნალობის საკითხებზე. ღვიძლის ამებური აბსცესის პრობლემებს მიეძღვნა რამდენიმე შრომა, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო გამოქვეყნებული. 1938 წელს მან წარმოადგინა მოხსენება “სუბდიაფრაგმული ამებური აბსცესის საკითხისათვის”, ხოლო 1939 წელს საქართველოს ექიმთა საზოგადოების პლენარულ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: “ღვიძლის ტროპიკული აბსცესის კონსერვატიული მკურნალობა”.

მოხსენებაში ნიკოლოზ ყიფშიძემ ჩამოაყალიბა აღნიშნული დაავადების კლინიკური მიმდინარეობის, დაავადების დიაგნოზი და დიფერენციული დიაგნოზის საკითხები. მან ერთ-ერთმა პირველმა მოგვაწოდა და დანერგა ამ მძიმე დაავადების მკურნალობის კონსერვატიული მეთოდი, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პაციენტთა სიკვდილიანობის პროცენტი. ეს იყო ახალი სიტყვა იმ უმძიმესი, სასიკვდილო დაავადების ეფექტური მკურნალობის შესახებ, როგორცაა ღვიძლის აბსცესი. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე აღნიშნულ საკითხის შესახებ არც ქართულ და არც რუსულ სამედიცინო ლიტერატურაში არაფერი იყო ნათქვამი. ნიკოლოზ ყიფშიძის მეცნიერული კვლევების საგანს კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებაც შეადგენდა. კლინიკამ, რომელსაც ნიკოლოზ ყიფშიძე ხელმძღვანელობდა, იმთავითვე ინტენსიურად დაიწყო კუჭ-ნაწლავის დაავადებების შესწავლა. 15 წლის განმავლობაში, კლი-

ნიკაში კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით დაავადებულ დაახლოებით 1500 პაციენტს ჩაუტარდა გამოკვლევა და მკურნალობა. კლინიკის აქტიური მუშაობის შედეგი იყო ის მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი: “კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ოპერაციული მკურნალობის შორეული შედეგები”. 1947 წელს თერაპევტთა მე-13 საკავშირო ყრილობაზე გაკეთდა მოხსენება თემაზე “კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის ჩვენებათა საკითხები”. აღნიშნულ შრომაში ავტორმა რამდენიმე საჭირობორტო საკითხი დასვა გასტროდუოდენური სისხლდენისა და პილოროდუოდენური სტენოზის მკურნალობის სოციალური ჩვენებების შესახებ და სავსებით მართებულად გადაჭრა ისინი. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

კუჭ-ნაწლავის პრობლემებს ეხება ნ.ეიფშიძის მონოგრაფიაც: “დუოდენალური ზონდაჟი და მისი მნიშვნელობა” (გამოქვეყნდა 1941 წელს). იმ დროისათვის აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ინფორმაციის თავმოყრა ერთ მონოგრაფიად, უდავოდ ავტორის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ნიკოლოზ ეიფშიძის ხელმძღვანელობით კლინიკაში სისტემატურად მიმდინარეობდა ახალი პრეპარატების შესწავლა. განსაკუთრებული ინტერესით მოჰკიდა მან ხელი სულფიდინის სამკურნალო ეფექტის შესწავლას და საქართველოში პირველმა გამოაქვეყნა ნაშრომი “ფილტვების კრუპოზული ანთების სულფიდინით მკურნალობა”. შესწავლილი იყო ანტიბიოტიკების სამკურნალო ეფექტი მთელი რიგი

დაავადებების დროს, რომელთა შედეგები ნიკოლოზ ყიფშიძის მიერ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომში იყო გამოქვეყნებული.

დიდა ნიკოლოზ ყიფშიძის ღვაწლი ქართველ მედიკოსთა აღზრდისა და პროფესიული სრულყოფის საქმეში. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სტუდენტთა პროფესიული აღზრდის საქმეს. მისი შინაარსიანი ღექციები თითქმის ყოველთვის პაციენტების დემონსტრირების ფონზე მიმდინარეობდა. ამ ღექციებს ესწრებოდნენ არა მარტო სტუდენტები და მათი პედაგოგები, არამედ კვალიფიკაციის ასამაღლებლად რაიონებიდან ჩამოსული ექიმებიც. ნ.ყიფშიძის კლინიკურ შემოვლებზე სტუდენტები და ახალგაზრდა ექიმები სწავლობდნენ და ეჩვეოდნენ სწორ კლინიკურ მსჯელობას, პაციენტის საწოლთან მოპოვებული კლინიკური სიმპტომების ჯეროვან ინტერპრეტაციას და მათ სწორ შეფასებას.

კლინიკები, რომლებსაც ნიკოლოზ ყიფშიძე ხელმძღვანელობდა, ყოველთვის იზიდავდა დახელოვნების სურვილის მქონე მრავალ ექიმს. ამ კლინიკებში კვალიფიკაციას იმაღლებდნენ საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებების და სანატორიუმების ექიმები, რომლებიც ისმენდნენ ნ.ყიფშიძის ღექციებს და ესწრებოდნენ მის შემოვლებს. მარტო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკაში, რომელსაც ის განაგებდა, ოთხმოცამდე ორდინატორი მომზადდა.

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე, რომელსაც ნიკოლოზ ყიფშიძე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, მის ღექციებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, ხშირად საკმაოდ გამოცდილი ექიმებიც კი, დიდი ინტერესით ისმენდნენ, ესწრებო-

დნენ მის კლინიკურ შემოვლებს. კათედრის პროფესორი ნოე მეგრელიშვილი იგონებდა: “აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძესთან მე მქონდა ბედნიერება მე-მუშავა რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მე-2 თერაპიის კათედრაზე, რომელსაც იმ პერიოდში ბატონი ნიკოლოზი განაგებდა. მისი ლექციები იმდენად საინტერესო და მიმზიდველი იყო, რომ მას არა თუ ჩვენი, არამედ სხვა კლინიკის თანამშრომლებიც სიამოვნებით ესწრებოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბნი ნიკოლოზის კლინიკური შემოვლები, სადაც ის, დიდი გამოცდილების, ცოდნის და უკანასკნელი დროის ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე, სვამდა სწორ დიაგნოზს. ვინ მოთვლის რამდენი ავადმყოფი გადაურჩენია სიკვდილისგან მის სწორად დასმულ დიაგნოზს და სათანადო მკურნალობას”.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე კვალიფიკაცია რამდენიმე ასეულმა ექიმმა აიმაღლა.

ნიკოლოზ ყიფშიძის ლექციები და შემოვლები სტუდენტთა და ექიმთა მომზადების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საუკეთესო სკოლა იყო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნიკოლოზ ყიფშიძის სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის შინაგან სნეულებებში, რომელიც ექვსჯერ გამოიცა და წლების განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველ ქართულ სახელმძღვანელოს შინაგან სნეულებებში, რომელიც ქართველ მედიკოსთა ან ექიმთა თაობების აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. ნ.ყიფშიძე მრავალი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომების ავტორია (იხ. შრომათა სია). მის კალამს ეკუთვნის ნარკვევი: “ბორჯომი და მისი ხეობა” (გამოცემული რუსულ და ქართულ ენებზე), ამასთან-

ნავე მრავალი ქართული სამედიცინო გამოცემის რედაქტორი იყო.

1950 წელს მისი რედაქციით გამოიცა "სამკურნალო-საოჯახო ცნობარი", რომელიც ცნობილი ქართველი ექიმების მიერ იყო შედგენილი და მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გაცნობას მოსახლეობისათვის.

ნიკოლოზ ყიფშიძის ხელმძღვანელობით შესრულებული იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 13 დისერტაცია (10 საკანდიდატო, 3 სადოქტორო). მისი მოწაფეებიდან სამმა მიიღო დოცენტის, ხოლო ორმა - პროფესორის წოდება.

ნიკოლოზ ყიფშიძე დიდ ყურადღებას უთმობდა სამედიცინო ცოდნის გავრცელებას მოსახლეობაში. როგორც პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს საზოგადოება "ცოდნის" წევრი, ის თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში კითხულობდა ლექციებს სამედიცინო თემებზე. ნ.ყიფშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის ექიმთა ყრილობებში, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით და ეხებოდა სოფლის საექიმო უბნის ექიმებისათვის საინტერესო საკითხებს.

ნიკოლოზ ყიფშიძე ორმოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა პაციენტების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და მუდამ მზად იყო საექიმო დახმარება აღმოეჩინა მათთვის. პაციენტის საწოლთან მუდამ ედებოდა არა მარტო მისი მაღალი პროფესიონალიზმი, არამედ ადამიანებისადმი დიდი სიყვარული. საკმარისია ჩამოვთვალოთ ის სამკურნალო დაწესებულებები, სადაც ნიკოლოზ ყიფშიძე მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ მუშაობას ეწეოდა ის, როგორც მკურნალი. ნიკოლოზ ყიფშიძე, კლინიკის გარ-

და, თითქმის 25 წლის განმავლობაში მუშაობდა: სპეციალური სანატორიული სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკაში, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკებში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ერთხანს ფრონტის) სამკურნალო დაწესებულებაში, დიდი სამამულო ომის პერიოდში ევაკო-პოსპიტლებში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნ.ყიფშიძემ დიდი მუშაობა გასწია, როგორც ექიმმა, მასწავლებელმა და მეცნიერმა. ნ.ყიფშიძე რამდენიმე ევაკო-პოსპიტლის მუდმივი კონსულტანტი იყო, ამასთანავე, სისტემატურად კითხულობდა ლექციებს სამხედრო ექიმებისათვის, იყო უურნალ "В помощь работникам эвакуационных госпиталей" რედაქციის წევრი და პოსპიტალური საბჭოს ბიუროს წევრი. არ დარჩენილა საავადმყოფო, არც თბილისში და არც რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქში, სადაც ნიკოლოზ ყიფშიძეს საექიმო საქმიანობა არ გაეწიოს პაციენტებისათვის.

ნიკოლოზ ყიფშიძე მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, 1950 წლიდან კი თავმჯდომარე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს წევრი, ხოლო 1950 წლიდან გარდაცვალებამდე ამ საბჭოს თავმჯდომარე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების ბიუროს წევრი, საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის წევრი, კურორტ ბორჯომის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, კიბოს საწინააღმდეგო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

1941 წ. ნიკოლოზ ყიფშიძეს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, იმავე წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ნიკოლოზ ყიფშიძეს, როგორც მოწინავე მეცნიერს და დიდ კლინიცისტს, კარგად იცნობდნენ რუსეთის სამეცნიერო წრეებშიც. ის სარგებლობდა ავტორიტეტით და მის აზრს ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ. სსრკ თერაპევტთა XIII ყრილობაზე ნიკოლოზ ყიფშიძე არჩეული იყო ყრილობის თავმჯდომარის მოადგილედ და თავმჯდომარეობდა ყრილობის სხდომებს. ნიკოლოზ ყიფშიძე იყო საკავშირო თერაპევტთა საზოგადოების გამგეობის წევრი, საკავშირო ჯანდაცვის სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს წევრი, ჟურნალ "Терапевтический Архив"-ის სარედაქციო საბჭოს წევრი, ჟურნალ "Клиническая Медицина"-ს თანამშრომელი.

პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე არაერთგზის იყო არჩეული ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. ის იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს მე-2 და მე-3 მოწვევის დეპუტატი, თბილისის ქალაქის საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის დელეგატი და სხვა პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე იყო უპარტიო.

მთავრობამ სათანადოდ დააფასა მეცნიერის დამსახურება და დააჯილდოვა ის ლენინის ორი ორდენით, "წითელი ვარსკვლავის" ორდენით, "შრომის წითელი დროშის" ორდენით, "საპატიო ნიშნის" ორდენით, 4 მედლით და "ჯანდაცვის წარჩინებულის" ნიშნით.

ნ.ყიფშიძე 1954 წლის ივნისში, 67 წლის ასაკში, გულის კუნთის ინფარქტით, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა.

აკად. ნ.ყიფშიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩასა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკას ნიკოლოზ ყიფშიძის სახელი ეწოდა.

ნ.ყიფშიძე განსაკუთრებული პირადული თვისებებით გამოირჩეოდა. იყო ზედმიწევნით პრინციპული, თავმდაბალი, თავაზიანი, დიდი ტაქტის ადამიანი, თანამშრომლებთან ურთიერთობაში მეტად თავდაჭერილი, ამიტომ ჰქონდა დამსახურებული ყველას სიყვარული და უაღრესი პატივისცემა.

ჩგიორგი მხეიძე

НИКОЛАЙ АНДРЕЕВИЧ КИПШИДЗЕ

(Краткий обзор жизни и деятельности)

Действительный член Академии наук Грузии, академик, доктор медицинских наук, профессор Николай Андреевич Кипшидзе родился 18 декабря 1888 года (новым стилем) в г. Гори, в семье почтового служащего Андрея Кипшидзе. Мать – Анна Давиташвили была домохозяйкой. Первоначальное образование Николай Кипшидзе получил в Горийском духовном училище. С третьего класса он продолжил учебу в I мужской гимназии г.Тбилиси, которую окончил в 1908 году на золотую медаль.

В 1908 году Николай Кипшидзе был зачислен в Петербургскую Военно-медицинскую Академию, которую он с отличием закончил на золотую медаль в 1914 году. В период учебы в Академии Николай Кипшидзе был не только передовым студентом, но он в то же время отличался своими прогрессивными взглядами и активной общественной деятельностью. Из-за всего этого Николай Кипшидзе пользовался большим авторитетом среди студентов Академии. В период учебы он был тесно связан с грузинскими студентами, находящимися в Петербурге. Кроме того, что его выбрали старостой курса, он был еще и председателем землячества грузинских студентов. Студент Николай Кипшидзе студентами Академии был послан в Ясную Поляну на похороны великого русского писателя Льва Толстого для произнесения надгробной речи, а на юбилее великого русского терапевта И. Павлова ему же доверили произнесение приветственной речи, что с удовольствием вспомнил Павлов несколько лет спустя в Париже во время встречи с Кипшидзе.

В период Первой Мировой Войны, в 1914 году, выпускник Военно-медицинской Академии Николай Кипшидзе был назначен врачом одного из легионов Царской армии и был послан в Персию, где он служил в течение двух лет. После этого Николая Кипшидзе переводят в военный госпиталь в г. Владикавказе, а оттуда в Тбилисский госпиталь, где он работал до 1918 года.

В 1918 году возвратившийся в Тбилиси Николай Кипшидзе начинает работать лаборантом в недавно основанном Университете Тбилиси, на кафедре частной патологии и терапии внутренних болезней лечебного факультета.

В 1921-1930 годах Николай Кипшидзе работал старшим ассистентом клиники госпитальной терапии. В тот период кафедрой госпитальной терапии заведовал доктор медицинских наук, профессор Спиридон Вирсаладзе. В профессиональном усовершенствовании Кипшидзе большую роль исполнил именно его учитель Спиридон Вирсаладзе. На кафедре госпитальной терапии под руководством профессора Спиридона Вирсаладзе, Николай Кипшидзе формируется как хороший клиницист-терапевт и ученый.

С периода деятельности на кафедре госпитальной терапии начинается врачебная, педагогическая, научная и общественная деятельность Николая Кипшидзе. Он активно включается в направлении высшего медицинского образования в Грузии, воспитании медицинских кадров, усовершенствовании медицинской отрасли и улучшении охраны здоровья населения. В 1931 году Николаю Кипшидзе была присвоена звание доцента и он был избран заведующим кафедрой внутренних болезней стоматологического факультета.

В 1933 году была основана кафедра факультативной терапии внутренних болезней педиатрического, санитарно-

гигиенического и стоматологического факультетов, заведующим которой в 1933-1950 годах был назначен Николай Кипшидзе. С этих пор начинается второй период деятельности Николая Кипшидзе. В сущности, ему было поручена организация новой кафедры и клиники. Вновь основанная кафедра нуждалась в создании клинической базы, ее оснащении клиническими лабораториями, вспомогательными кабинетами и необходимой литературой. Николай Кипшидзе в течение короткого времени собрал вокруг себя группу единомышленников, и с их активной помощью создал клинику, которая вполне соответствовала тогдашним требованиям медицины. Среди первых сотрудников кафедры были ассистенты: Константин Вирсаладзе, Георгий Русишвили, Иосиф Мchedlishvili, Леван Анджапаридзе, позднее Георгий Мхеидзе, а также два-три клинических ординатора.

В 1933 году при Тбилисском государственном медицинском институте были организованы курсы повышения квалификации врачей, а в 1935 году эти курсы превратились в Тбилисский институт повышения квалификации врачей. В этом же году в Тбилисском институте повышения квалификации врачей была основана вторая кафедра терапии, заведующей которой в 1949-1954 годах был Николай Кипшидзе.

Активная научная деятельность Николая Кипшидзе охватывала различные сферы медицины. Научные исследования Кипшидзе первоначально были посвящены гельминтозным и протозоическим заболеваниям. Член Медицинской академии Союза ССР, профессор М. Маруашвили писал: "Николай Кипшидзе – терапевт широкого диапазона был очень заинтересован медицинской паразитологией и тропическими заболеваниями, как краевыми специфическими вопросами. Об этом свидетельствует 10 трудов на грузинском, французском и немецком языках, опубли-

ликованных им. Он обессмертил свое имя хотя бы только тем, что впервые обнаружил и описал в Грузии два довольно распространенных заболевания: одно гельминтоз -- стронгилоидоз, и второе - протозооз - балантидиаз. Он же первым изучил правила получения культуры кишечных протозоев и ее хранения в лабораторных условиях. Вместе с Р.Дешйеном разработал оригинальную почву для их роста и размножения. Эти исследования очень помогли морфологическим исследованиям амебиоза, балантидиаза, трихомониаза, разъяснению вопросов их патогенеза, решению проблем диагностики этих заболеваний, формированию клинической симптоматики, установлению эффективных методов лечения и усовершенствованию экспериментальных исследований". В 1937 году Николай Кипшидзе посвятил специальную монографию этим важным вопросам, которая впоследствии превратилась в тему его докторской диссертации: "Материалы по изучению культур простейших".

Основные положения исследований патогенических протозоев кишок отразились в трудах, опубликованных Николаем Кипшидзе на грузинском, русском и европейских языках, основные тезисы которых ими же были доложены на Обществе Врачей Грузии и на Конгрессе Врачей Грузии (май 1924 года).

С именем Николая Кипшидзе связано первое описание кокцидий в Грузии: "*Taenia flavupunctata*, *Strongyloides stereoralis* et *intestinalis*", выделение особенного рода "*Trichomonas elongata*" трихомон от обезьян и получение их чистой культуры. Николай Кипшидзе основательно изучал также и лямблиоз (Н. Кипшидзе – Простейшие животные в кишках человека – лямблиоз, доклад был сделан на всегрузинском конгрессе врачей в мае 1924 года). Заслуживает внимания также то, что проведенные им экспериментальные исследования на мышей, инфицированных лямблиями и наблюдения о наличии лямблий в желчном пузыре.

В 1929-1930 годах для продолжения научной работы Николай Кипшидзе командирован в Институт Луи Пастера (Париж). Именно здесь под руководством Ф.Менила и Р. Дешйена Н. Кипшидзе продолжает исследование культур протозоев.

Результаты исследования публикуются во французских журналах, и в конце концов венчаются монографией: "Материалы для изучения некоторых протозоев".

Параллельно к научным исследованиям кишечных простейших, Николай Кипшидзе был заинтересован и изучал проблемы диагностики и лечения тропического абсцесса печени. Труды Николая Кипшидзе о вопросах клиники и лечения тропического абсцесса печени приобрели практическое значение. Несколько трудов было посвящено проблемам амёбного абсцесса печени, которые были опубликованы в разное время. В 1938 он представил доклад "К вопросу о субдиафрагмальном амёбном абсцессе", а в 1939 году на пленарном заседании Общества врачей Грузии прочитал доклад на тему "Консервативное лечение тропического абсцесса печени".

В докладе Николай Кипшидзе сформулировал вопросы клинического течения, диагностики заболевания и дифференциальной диагностики. Он одним из первых предложил и внедрил консервативный метод лечения этого тяжелого заболевания, что значительно сократило процент смертности больных. Это было новым словом в эффективном лечении того тяжелейшего, смертельного заболевания, каким является абсцесс печени, надо отметить, что до того об указанном вопросе ничего не было сказано ни в грузинской, ни в русской медицинской литературе. Предметом исследований Николая Кипшидзе являлось и язвенное заболевание желудка и 12-перстной кишки. Клиника, которой заведовал Николай Кипшидзе, сначала же интенсивно начала исследование желудочно-кишечных заболеваний. В

течение 15 лет в клинике было проведено обследование и лечение примерно 1500 пациентам, болеющим язвенным заболеванием желудка и 12-перстной кишки. Результатом активной работы клиники были те многочисленные труды, которые были посвящены желудочно-кишечным проблемам: "Отдаленные результаты оперативного лечения желудка и 12-перстной кишки", в 1947 году на 13-ом Всесоюзном съезде терапевтов был сделан доклад на тему: "Вопросы показателей хирургического лечения язвенных заболеваний желудка и 12-перстной кишки". В указанном труде автор поставил несколько злободневных вопросов о социальных показателях лечения гастродуоденального кровотечения и пилородуоденального стеноза и довольно правильно их разрешил. Доклад вызвал большой интерес.

Желудочно-кишечных проблем касается и монография Н. Кипшидзе: "Дуоденальный зондаж и его значение" (было опубликовано в 1941 году). К тому времени сбор многочисленной информации в виде одной монографии, посвященной упомятому вопросу, нужно считать большой заслугой автора.

Под руководством Николая Кипшидзе в клинике систематически проводилось изучение новых препаратов. Николай Кипшидзе с особым интересом взялся за изучение лечебного эффекта сульфидина и первым в Грузии опубликовал труд "Сульфидиновое лечение крупозного воспаления легких". Был изучен лечебный эффект антибиотиков во время целого ряда заболеваний, результаты которого были опубликованы Николаем Кипшидзе в нескольких научных трудах.

Велика заслуга Николая Кипшидзе в деле воспитания и профессионального усовершенствования грузинских медиков. Н. Кипшидзе с большой ответственностью относился к делу профессионального воспитания студентов. Его содержательные лекции почти всегда проводились на фоне

демонстрирования пациентов. Эти лекции посещали не только студенты и их педагоги, но и врачи, приехавшие с районов для повышения квалификации. На клинических обходах Н. Кипшидзе, студенты и молодые врачи учились и привыкали к правильному клиническому рассуждению, надлежащей интерпретации и правильной оценке клинических фактов, собранных у постели пациента.

Клиники, которыми руководил Николай Кипшидзе, всегда привлекали множество врачей, желающих усовершенствоваться. В этих клиниках повышали квалификацию врачи различных лечебных заведений и санаториев Грузинской республики, которые слушали лекции Н.Кипшидзе и присутствовали на его обходах. Только в клинике Медицинского института, которой он заведовал, было подготовлено до восьмидесяти ординаторов.

На кафедре терапии Тбилисского института усовершенствования врачей, которой в течение последних пяти лет заведовал Николай Кипшидзе, его лекции посещали часто даже довольно опытные врачи, приехавшие с разных углов Советского Союза. С большим интересом слушали, присутствовали на его клинических обходах. Профессор кафедры Ной Мегрелишвили вспоминал: "Я имел счастье работать с академиком Николаем Кипшидзе в течение нескольких лет на 2-ой кафедре терапии Тбилисского института усовершенствования врачей, которой в тот период заведовал Г-н Николай Кипшидзе. Его лекции были настолько интересны и привлекательны, что их посещали сотрудники не только нашей, но и других клиник. Особенно надо отметить клинические обходы Г-на Николая, где он на основе большого опыта, знаний и литературных данных последнего времени ставил правильный диагноз. Кто может перечислить, сколько больных спас от смерти его правильно поставленный диагноз и надлежащее лечение".

Несколько сотен врачей повысило квалификацию на кафедре терапии Института усовершенствования врачей.

Лекции и обходы Николая Кипшидзе были лучшей школой подготовки и повышения квалификации студентов и врачей.

Заслуживает особенного упоминания учебник Николая Кипшидзе по внутренним заболеваниям для студентов и врачей, который издавался шесть раз и в течение многих лет представлял собой одно из первых грузинских руководств по внутренним болезням. Оно служило делу воспитания поколений грузинских врачей или медиков. Н. Кипшидзе является автором множества трудов научно-популярного характера (см. список трудов), его перу принадлежит очерк "Боржом и его ущелье" (изданное на русском и грузинском языках), он также был редактором множества грузинских медицинских изданий.

Под его редакцией в 1950 году был издан "Домашний лечебный справочник", который был составлен знаменитыми грузинскими врачами и имел целью ознакомление населения с вопросами здравоохранения.

Под руководством Николая Кипшидзе было выполнено больше 200 научных трудов, 13 диссертации (10 кандидатских, 3 докторских). Из его учеников три получили звание доцента, а два - звание профессора.

Николай Кипшидзе уделял большое внимание распространению в населении медицинских знаний. Как член Грузинского общества по распространению политических и научных знаний "Цодна", он читал лекции по медицинским вопросам в Тбилиси и в различных районах Грузии. Н.Кипшидзе активно участвовал в съездах сельских врачей, где выступал с докладами и касался интересных вопросов для сельских участковых врачей.

Николай Кипшидзе в течение сорока лет служил делу здравоохранения пациентов и был всегда готов оказать им

медицинскую помощь. У постели пациента проявлялся не только его высокий профессионализм, но и большая любовь к человеку. Достаточно перечислить те лечебные заведения, где Николай Кипшидзе в течение многих лет трудился, чтобы представить, какую большую работу он проводил как лекарь. Николай Кипшидзе кроме клиники почти в течение 25 лет работал: в больнице-поликлинике специального санаториального управления, в поликлиниках Государственной безопасности и Министерства внутренних дел, в лечебном заведении Закавказского военного округа (в одно время фронта), во время Великой Отечественной войны в эвакогоспиталях.

В период Второй Мировой войны Н. Кипшидзе провел большую работу как врач, учитель и ученый. Н.Кипшидзе был постоянным консультантом нескольких эвакогоспиталей, а также, систематически читал лекции для военных врачей, был членом редакции журнала "В помощь работникам эвако-госпиталей" и членом бюро госпитального совета. Ни в Тбилиси, ни во многих других городах Республики не оставалось больницы, где Николай Кипшидзе не оказывал врачебную помощь пациентам.

Николай Кипшидзе в течение многих лет был заместителем председателя Научного общества терапевтов Грузии, а с 1950 года – его председателем, членом научно-медицинского совета Министерства здравоохранения, а с 1950 года до своей кончины - председателем этого совета.

Кроме перечисленного выше, Николай Кипшидзе был членом бюро отдела биологических и медицинских наук Академии наук, членом пленума профсоюза Грузии, председателем научного совета курорта Боржоми, членом президиума комитета против рака.

За научные заслуги в 1941 году ему было присвоено почетное звание заслуженного деятеля науки Грузии, а в 1941 году он был избран академиком АН Грузии.

Николай Кипшидзе, как передового ученого и большого клинициста хорошо знали и в научных кругах России. Он пользовался авторитетом, и с его мнением всегда считались. На XIII съезде терапевтов СССР Николай Кипшидзе был избран заместителем председателя съезда, и он председательствовал на заседаниях съезда. Николай Кипшидзе был членом правления Всесоюзного терапевтического общества, членом совета научно-медицинского общества Всесоюзного здравоохранения, членом редакционного совета журнала "Терапевтический архив", сотрудником журнала "Клиническая медицина".

Профессор Николай Кипшидзе не раз избирался в высших органах власти. Он был депутатом 2-го и 3-его созыва Верховного Совета СССР, депутатом Городского совета Тбилиси, членом центральной избирательной комиссии республики, делегатом конференции сторонников мира и др. Профессор Николай Кипшидзе был беспартийным.

Правительство оценило по достоинству заслуги Николая Кипшидзе и наградило его двумя орденами Ленина, орденом "Трудового Красного Знамени", орденом "Знак почета", четырьмя медалями и знаком "Отличника здравоохранения".

Николай Кипшидзе скончался в возрасте 67 лет, совершенно неожиданно, от инфаркта сердечной мышцы, в июне 1954 года.

Для увековечения памяти Н. Кипшидзе, одна из улиц Тбилиси и Центральная клиника государственного медицинского университета были названы его именем.

Н. Кипшидзе выделялся особенными личными качествами. Он был чрезвычайно принципиальным, скромным, учтивым, человеком большого такта, очень сдержанным в общении с сотрудниками, и поэтому он заслуженно пользовался любовью и глубочайшим уважением всех.

† Георгий Мхеидзе

NIKOLOZ KIPSHIDZE

(A short review of his life and activities)

Member of the Georgian Academy of Sciences and Doctor of Medical Sciences, Professor Nikoloz Kipshidze was born on December 18, 1888 in the family of a postman in Gori, Georgia. His mother, Ana Davitashvili, was a housewife. He was primary educated at the Theological College in Gori, then continued his studies at the first Gymnasium for boys in Tbilisi, which completed with a gold medal in 1908.

After the competitive examination he entered the Medical Military Academy in St. Petersburg. He graduated from the Academy with a gold medal. Nikoloz Kipshidze was an outstanding student not only because of his excellent studies, but also because of his ideas and his public activities. He had an authority among the students. He was elected as the chair of the faculty, the chair of the Georgian Students Association studying in St. Petersburg. He was sent to Jasnaia Poljana for the funeral of Lev Tolstoy, where he had a funeral oration on behalf of students. Nikoloz Kipshidze's greeting speech at the Jubilee of Pavlov was mentioned by Pavlov several years later during their meeting in Paris.

In 1914 Nikoloz Kipshidze, graduated from the Medical Military Academy, was appointed as a doctor of legions in the Imperial Army and was sent to Persia for two years. Later he was transferred to Vladikavkaz Military Hospital, then to Tbilisi Hospital where he served until 1918.

He returned to Tbilisi in 1918 and started to work as a lab. assistant at the newly established faculty of the Internal Medicine, Department of special pathology and therapy at Tbilisi University.

In 1921-1930 Nikoloz Kipshidze worked as a senior assistant at the Hospital Therapy Clinic, directed by Professor Spiridon Virsaladze. His teacher Spiridon Virsaladze played an important role in his professional development. At the Hospital Therapy Clinic Kipshidze was established as a good clinician, therapist and scientist.

Since that Nikoloz Kipshidze had started his pedagogical, scientific and public activities. He was actively participating in the directing of the higher medical education in Georgia. He was involved in the raising and training medical professionals, in development of the field of medicine and also in improving the care of public health.

In January 1931 he was conferred a rank of the assistant professor of Medicine and was elected as a deputy dean of the Department of Internal Diseases at the Stomatology Faculty. In 1933 at the Pediatric, Sanitary -Hygienic and Stomatology Faculties was established the Department of Internal Diseases off the Faculty Therapy.

In 1933-1950 Nikoloz Kipshidze worked as a dean of this department. Since that starts the second stage of Nikoloz Kipshidze's activities. He had to work hard to organize in fact a newly established department, that needed to create the clinical basis, including lab, supporting offices, useful printed materials. Nikoloz Kipshidze in a short time surrounded with colleagues and with their joint efforts created the contemporary clinic. Among the first staff were Constantine Virsaladze, George Rusishvili, Joseph Mchedlishvili, Levan Anjaparidze, later George Mkheidze, also two or three additional hospital physicians.

In 1933 at Tbilisi Medical Institute was organized the advanced training course for physicians. In 1935 this course was turned into Tbilisi Institute of the Physicians Advanced Training Qualification. At the same time at the mentioned

Institute was established the Second Therapy department headed by Nikoloz Kipshidze in 1949-1954.

Nikoloz Kipshidze's active scientific research covered various medical fields. His scientific investigations started from the studies of helminthosis and protozoa diseases Prof. M. Maruashvili, the member of the Medical Academy of the USSR wrote: Nikoloz Kipshidze, the internist of the wide diapason was very interested in the issues of the parasitological and tropical diseases, especially focusing on the issues of the regional specifics".

He had published about 10 studies in Georgian, French and German languages. He was the first in Georgia to discover and describe two quite spread diseases: helminthiasis – strongyloidiasis and protozoal-balantidiasis. He was the first who studied the methods of receiving the intestine protozoa culture and keeping rules at lab. Together with R. Deshien he had worked out the unique culture medium for the developing and multiplying this culture. Those investigations promoted the further morphological studies of amebiasis, balantidiasis, trichomoniasis, as well as, their pathogenesis, diagnosis, treatment and experimental studies. In 1937 he devoted to that important issue special monograph, which later became a main thesis for his Doctoral work: "Some Materials for the Studies of Protozoa Culture."

The main results of the investigation on pathogenic intestinal protozoa was reflected in studies published in Georgian, Russian and some other European languages. The main thesis of studies were presented at the Congress of the Georgian Society of Physicians (May 1924).

Nikoloz Kipshidze was the first who described the coccidium in Georgia. *Taenia flavopunctata*, *Strongyloides stereoralis at intestinalis*. He received the pure culture of the Trichomonas from monkeys. He fundamentally studied the issues of the lambliasis. There were performed a significant experimen-

tal studies on mice infected with *lamblia intestinalis*, some observation of the existence of the lamblia *intestinalis* in Choltsistis.

In 1929-1930 Nikoloz Kipshidze was sent to the Institute of L. Paster in Paris for continuing his scientific research studies. At the Department of Microbiology consulted by P. Menil and R. Deshien he was continuing his research on the issues of the protozoa culture.

His studies were published at the French periodicals. Those studies published as a monograph: "The Materials for the Studies of Protozoa".

Nikoloz Kipshidze was also interested in with the problems of the liver tropical abscess and studied the diagnostic methods and treatment strategies of this very severe disease. Those studies had a practical importance. Several works published in various years were devoted to that subject. In 1938 he presented his lecture on "Some Issues of Subdiaphragmatic Amebic Abscess". Later in 1939 at the Georgian Society of Physicians he made a presentation: "The Conservative Treatment of the Liver Tropical Abscess."

In his presentation Nikoloz Kipshidze had specified the clinical symptoms of the disease, diagnostic and differential diagnostic methods. He was one of the first proposing the methods of conservative treatment of this heavy disease. At that time this work had a great practical importance. This was a new word in the treatment of such incurable disease. It should be emphasized that before there was no data regarding this subject neither in Georgian, nor in Russian literature.

Another subject for the special interest of Kipshidze was the ulcer disease of stomach and duodenum. The clinic headed by Nikoloz Kipshidze during 15 years was intensively studying and treating about 1500 patients with the gastro intestinal system diseases. The results of this active work were reflected in numerous studies. There was published a research devoted to:

"The Long Term Results of Surgical Treatment of the Ulcer Disease of Stomach and Duodenum".

In 1947 at the 13th All-Union Convent was presented a lecture "The Clinical Indications for the Surgical Treatment of the Stomach and Duodenum Ulcer Diseases".

The studies included many important issues of the clinical indications for the treatment of the gastroduodenal bleeding and stenosis of pyloroduodeny. The presentation raised a great interest.

Another monograph "The Duodenum Tube and its Importance" was published in 1941.

The importance of the study was collecting of huge information in one monograph.

At the clinic headed by Nikoloz Kipshidze systematically were performed the research studies of the new medications, special interest were the effects of the sulfidin. Kipshidze was the first in Georgia, who had published the studies "Sulfidin in the Treatment of Pleuropneumonia". There were also studied the effects of antibiotic treatment of some other diseases. Nikoloz Kipshidze published several studies devoting on mentioned subject.

